



საკანონმდებლო მაცნე

შინაარსი

- სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონლის იმპორტის აქციზისგან გათავისუფლება
- საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის საფასური
- აქტივის მიწოდებიდან მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა
- აქტიური გადამხდელის სტატუსის მინიჭება
- აღრიცხვის წიგნის წარმოება

ცვლილება კანონში

სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონლის იმპორტის აქციზისგან გათავისუფლება

2026 წლის 10 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 1649-Vმს-XIმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხორციელებული ცვლილებით, განახლდა სსკ-ის 194-ე მუხლი, რომელიც ეხება აქციზისაგან გათავისუფლების მარეგულირებელ წესებს და მე-5 ნაწილს დაემატა ახალი “ო” ქვეპუნქტი. შედეგად განისაზღვრა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია აქციზისგან ჩათვლის უფლების გარეშე.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 11 ივნისიდან

ცვლილება დადგენილებაში

საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის საფასური

2026 წლის 8 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №251 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცვლილების შედეგად, განახლდა საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მომსახურების საფასური, რომელიც იურიდიული პირებისთვის შეადგენს 20,000 ლარს ნაცვლად 10,000 ლარისა, ხოლო რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის - 10,000 ლარს ნაცვლად 5,000 ლარისა.

ხაზგასასმელია, რომ მოცემულ შემთხვევაში ფიზიკური პირის რეზიდენტობის განსაზღვრა ხდება წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნის წარდგენის წინა კალენდარული (საგადასახადო) წლის მიხედვით.

ამასთანავე, აღნიშნული წესი არ ვრცელდება შემოსავლების სამსახურში 2027 წლის 1 იანვრამდე წარდგენილ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნებზე.

ცვლილება ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან

საჯარო გადაწყვეტილება

აქტივის მიწოდებიდან მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა

2026 წლის 10 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №175 საჯარო გადაწყვეტილება „ფიზიკური პირის მიერ აქტივის მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხებზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 14 მაისის №143 საჯარო გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცვლილების შედეგად განახლდა საჯარო გადაწყვეტილების პირველი მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 პუნქტი და დაემატა ახალი ნაწილი, რომლის თანახმად სისტემურ და ორგანიზებულ საქმიანობად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი საქმიანობები, რომელთა ფარგლებში პირი აქტივების შექმნას, შეძენას ან რეალიზაციას ახორციელებს როგორც დამოუკიდებელ და ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას, რეგულარული შემოსავლის მიღების მიზნით. შესაბამისად, საცხოვრებელი ბინების/სახლების მხოლოდ ფლობა, მათი რაოდენობა, ფლობის ხანგრძლივობა და შემდგომი გასხვისება, თავისთავად არ წარმოადგენს საქმიანობის სამეწარმეო საქმიანობად დაკვალიფიცირების საკმარის საფუძველს.

ხაზგასასმელია, რომ საცხოვრებელი ბინის/სახლის რეალიზაციისას, არ ვრცელდება მეწარმე ფიზიკური პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში (დეველოპერული საქმიანობა, იპოთეკური მოთხოვნების უზრუნველყოფა და სხვა) განხორციელებული მიწოდებისას საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი ნორმები:

- სსკ-ის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მიღებული ნამეტი შემოსავლის 5 პროცენტით დაბეგვრა.
- სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამატებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 11 ივნისიდან

ცვლილება ბრძანებაში

აქტიური გადამხდელის სტატუსის მინიჭება

2026 წლის 11 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №180, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განისაზღვრა აქტიური გადამხდელის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო პირობები.

განხორციელებული ცვლილებით, განახლდა №996 ბრძანების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი და დაემატა ახალი „ო-ს“ ქვეპუნქტები, რომლის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელს აქტიური გადამხდელის სტატუსი ენიჭება ქვემოთ განსაზღვრული ერთ-ერთი პირობის არსებობისას:

- გადასახადის გადამხდელის სახელზე დარეგისტრირდა პოს-ტერმინალი/მობილური პოს-ტერმინალი/ელექტრონული კომერციის ტერმინალი, რომლის რეგისტრაცია გაუქმებული არ არის ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი სტატუსის მინიჭების თარიღისთვის
- საწარმოს/ორგანიზაციას უფიქსირდება საბანკო ანგარიშის გახსნა, რომელიც აქტიურია ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი სტატუსის მინიჭების თარიღისთვის
- გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილია საგადასახადო დოკუმენტი (სდ)
- გადასახადის გადამხდელს მიენიჭა მიკრობიზნესის/მცირე ბიზნესის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი, რომელიც არ არის გაუქმებული ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი სტატუსის მინიჭების თარიღისთვის
- გადასახადის გადამხდელი დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად და ეს რეგისტრაცია გაუქმებული არ არის ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი სტატუსის მინიჭების თარიღისთვის.

ხაზგასასმელია, რომ აქტიური გადამხდელის სტატუსის მინიჭებისთვის ასევე №996 ბრძანების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია სხვა პირობებიც, როგორიცაა: გადასახადის გადამხდელის ახლად

რეგისტრირება, მის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული დეკლარაციები/გაანგარიშებების წარდგენა, გადასახადების გადახდა, საკონტროლო-საღარი აპარატზე ბრუნვის დაფიქსირება და სხვა.

შეგახსენებთ, რომ გადასახადის გადამხდელს (მათ შორის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას დაქვემდებარებულ პირს) საქმიანობის აქტივობის შეფასების მიზნით ენიჭება ერთ-ერთი შემდეგი სტატუსი:

- აქტიური გადამხდელი
- პასიური გადამხდელი
- არამენარმე ფიზიკური პირი
- ლიკვიდირებული/გარდაცვლილი გადამხდელი.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 12 ივნისიდან

აღრიცხვის წიგნის წარმოება

2026 წლის 24 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №196, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განისაზღვრა შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის წიგნის წარმოების წესები.

ცვლილება შეეხო №996 ბრძანების „შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის შესახებ“ 28-ე მუხლს, რომლის მიხედვით პირს, რომელსაც უფლება აქვს გამოიყენოს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებული წესი და აწარმოებს შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის წიგნს, რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების საფუძველზე აისახება საანგარიშო (საგადასახადო) პერიოდის ყველა სამეურნეო ოპერაცია, შეუძლია წიგნი აწარმოოს როგორც მატერიალური ფორმით (ქაღალდზე ნაბეჭდი), ისე ელექტრონული ფორმით.

შეგახსენებთ, რომ სსკ-ის 73-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც საქონლის/მომსახურების რეალიზაციას უპირატესად ნაღდი ანგარიშსწორებით ახორციელებს, გადასახადის გადახდისას იყენებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებულ წესებს. აღნიშნული წესები არ ვრცელდება იმ გადასახადის გადამხდელზე, რომელიც, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების მიზნებიდან გამომდინარე, ვალდებულია განახორციელოს ან ნებაყოფლობით ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით, აგრეთვე იმ პირზე, რომელიც რეგისტრირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად.

ცვლილების შედეგად, ამოღებულ იქნა ამავე მუხლის მე-2, მე-4 და მე-10 პუნქტები, რომლებიც განსაზღვრავდა შემოსავლების სამსახურის მიერ აღრიცხვის წიგნების დალუქვის წესებს, კერძოდ, პირს აღარ უნევს მიმართოს საგადასახადო ორგანოს აღრიცხვის წიგნის დალუქვის მიზნით.

ცვლილებით ასევე განისაზღვრა აღრიცხვის წიგნის შენახვის ვადა, რომელიც შეადგენს არანაკლებ 3 წელს. ამასთანავე, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პირს შესაძლებელია ჰქონდეს ერთზე მეტი აღრიცხვის წიგნი.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 1 აგვისტოდან

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მიმოიხილავს საგადასახადო კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებსა და პრაქტიკულ ასპექტებს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
ME nukidze@bdo.ge
▶ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.